

საქართველო

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპორაჟი



1 ივნისი
ბავშვთა
დაცვის
საერთაშორისო
დღეა!
გილოცავთ!

ოთხშაბათი, 1 ივნისი. 2022 წ. №68 (9406) ელ. ფოსტა: sakr

— ოგა რუსეთი და უკრაინა „ჩამონერა“ —

ქეპო, ქეით პრ სარ ქლიერი!..

ოგი ბრეპლეა, ბოლო არ უჩანს, თუმცა, სამწუხაროდ იკვთება, რომ გვირულად ებრძოლი უკრაინა თანდათან იწრიბება სისხლისგან. რუსეთი არა უბრალოდ გამარჯვებისთვის იბრძვის, არამედ ახალ-ახალი მიწების წაგლეჯისთვის, უკრაინის დანაწევრებისთვის, თავისად შეგულაული კველის დასაბრუნებლად.



4

სატრანსპორტო დიპლომატია

ქველი პრობლემების გადაწყვეტის ახალი მიდგომები



ტვირთვების ნაკადი 7-ჯერ არის გაზრდილი

გაუკლებს ქვეყნის ინფრასტრუქტურა?!

ირაკლი კობახიძე: **2**
ომისა და დავის პარტიის სცენარი ვერ განხორციელდება!

ჯო ბიდიანი: **11**
თავისუფლება პრესდროს ყოფილა უფასო...

„მუშაობის ეპოქა“ 5 **ფეხი ტრამპლინს ევროპაში ჩასახტომად!**



გადაღობთ, ფინდო იერ უგალიაი!

იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილოს III-მ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ქრისტეს ყოვლადწმინდა საფლავის რაინდის ორდენით და მაცხოვრის ძელიცხოველის გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.
იერუსალიმის პატრიარქმა საქართველოს მთავრობის მეთაურს, დელეგაციასთან ერთად, საპატრიარქოში უმასპინძლა.
„წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი თეოფილე III ვანიტებ ქრისტეს ყოვლადწმინდა საფლავის რაინდის ორდენს და ჩვენი მაცხოვრის ძელიცხოველის გამშვენებულ ჯვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მის აღმატებულება ირაკლი ლარიბაშვილს, როგორც მაცხოვრის ყოვლადწმინდა საფლავის სამოსს მეგობარსა და ქრისტეს აღდგომის ტაძრის მცველს“, — აღნიშნულია წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის თეოფილე მე-სამის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, რომელიც დაჯილდოების ცერემონიაზე იერუსალიმის საპატრიარქოს მდივანმა, მთავარეპისკოპოსმა არისტარხოსმა წაიკითხა.



იერუსალიმის პატრიარქმა აღნიშნა, რომ მისთვის სასიხარულოა მართლმადიდებელი ქვეყნის ლიდერის სტუმრობა.
„სიამოვნებას გვანიტებს ის ფაქტი, რომ იესო ქრისტეს საფლავზე დასვენებულ წმინდა ჯვარს გადმოგვემო, რათა მუდამ დაცული იყოს და ამ მხსნელი, მართალი და სწორუბოვარი ჯვრით იყოს მუდამ შთაგონებული“, — აღნიშნა პატრიარქმა თეოფილუს III-მ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პატრიარქს თეოფილოს III-ს მადლობა გადაუხადა ჯილდოსთვის და პერსონალური წვლილისთვის მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ საქართველოსთვის მინის ნაკვეთის გადაცემის საქმეში, სადაც ქართული კულტურის ცენტრი აშენდება. ირაკლი ლარიბაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის არსებულ ძლიერ ისტორიულ კავშირებს და პატრიარქ თეოფილოს III-ის საქართველოში ვიზიტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იერუსალიმის პატრიარქმა საქართველოს მთავრობის მეთაური და დელეგაციის წევრები დალოცა და მათ წარმატებები უსურვა.



ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება პოლიციის მუშაობის, მეულაობის, შიშის...

ჩემი კვირფასო პოლიციელებო, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები ვამაყობთ ქართული პოლიციით, გვეიმედება შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული თითოეული ადამიანი. კიდევ ერთხელ, მაგალითად სამსახურისთვის. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენ შევძელით პოლიციის ტრანსფორმაცია. ქართული პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული. პოლიცია თანაბრად იცავს ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციელების დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ აბსოლუტურად მიუღებელია პოლიციისადმი დაუმსახურებელი, შეურაცხყოფილი გამოთქმები, რასაც სამსახროდ, ოპონენტები ხშირად იმეორებენ.

„რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს შეგუებული, არავითარი კომპრომისი ჩვენ არ უნდა დაგვშვათ, არც ერთი ასეთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.“

პოლიციელი უნდა იყოს ხელშეუხებელი და რა თქმა უნდა, მე არ მაქვს საუბარი ცალკეულ გადაცდომებზე, რომლებზეც სამინისტრო შესაბამისად რეაგირებს, მაგრამ მიუღებელია და კატეგორიულად ვგმობ ნებისმიერ მცდელობას, რომ შეურაცხყოფა მიყენონ თქვენს სამსახურ საქმიანობას, თქვენს პროფესიას. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ თითოეული ასეთი ქმედება იქნება დასჯილი და ჩვენ არც ერთ კომპრომისს არ დავუშვებთ. ჩემო ძვირფასო პოლიციელებო, ჩემო მეგობრებო, ჩვენი ხალხის, ჩვენი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მაგალითად გიხდით სამშობლოს ერთგული, თავდადებული მსახურებისათვის, თქვენი პროფესიონალიზმისა და გმირობისთვის. მაგალითად ვიყავი თქვენს მშობლებს, მეუღლეებს, შვილებს, თქვენი ოჯახის წევრებს, ვისი თანადგომითაც თქვენთვის ასე ძვირფასია თქვენი საქმიანობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ პოლიციელების დღეს! ღმერთო იყოს თქვენი მფარველი! — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

თბილისში ვაშენებთ პოლიციის ათასბინიან ქალაქს

ჩემი დიდი სურვილი იყო და ბატონ ვახტანგ გომელაურთან ერთად ცოტა ხნის წინ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩვენი გმირი პოლიციელებისთვის ავაშენოთ პოლიციის ათასბინიანი ქალაქი თბილისში. ეს იქნება პირველი ეტაპი და რა თქმა უნდა, გაგრძელდება. პროექტი წელსვე დაიწყება და ჩვენ კიდევ შევძლებთ ბევრი პოლიციელის ოჯახის გაყვანას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციელების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სათანადოდ უნდა დაფასდეს ყველა ის ადამიანი, ვინც ხალხისთვის, ქვეყნისთვის იბრძვის და თავს წირავს. მისივე თქმით, მოქმედება და მომავალმა პოლიციელებმა უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე და ყოველთვის ეცდება, პოლიციელი ჰყავდეს დაფასებულად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იერუსალიმის პატრიარქ თეოფილას II-სა და იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის არქივისკოპოს ქრისტოფოროს ატალას შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა იერუსალიმის პატრიარქსა და იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის არქივისკოპოსს მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მახლობლად

ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელში

საბარტომეოს მთავრობის მეთაურის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრით დაიწყო. ირაკლი ღარიბაშვილი და ნაფთალი ბენეტმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილს მეორე ოფიციალური ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა.

„საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩვენ ერთმანეთს დიდად ვაფასებთ. დიდად ვაფასებთ, რომ მეორე ოფიციალური ვიზიტით გვეწვიეთ“, — აღნიშნა ნაფთალი ბენეტმა.

მინის ნაკვეთის საქართველოსთვის გადაცემის პროცესში მათ მიერ განეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა და საზი გაუსვა წმინდა მიწაზე საქართველოსთვის მინის გადაცემის მნიშვნელობას. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის საარქივისკოპოსოში დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა. მთავრობის მეთაურის პატივსაცემად, იერუსალიმის პატრიარქისა და იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის არქივისკოპოსის სახელით ვახშამი გაიმართა, რომელსაც მისი აღმატებულება პრინცი ლაზიც ესწრებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების პერსპექტივაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაში



ფოს ქნესეთის თავმჯდომარეს მიკი ლევის შეხვდა. საუბრის ძირითადი თემები იყო ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარების კუთხით არსებული პოზიტიური დინამიკა და წარმატებული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოებს შორის.

საზი გაესვა პარტნიორობის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, ასევე, უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებს. აღნიშნა, რომ ორმხრივი კავშირების კიდევ უფრო გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილე, რომელიც 1 ივნისს აღინიშნება. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აფასებს ისრაელის სახელმწიფოს მტკიცე და ურყვე პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის კუთხით.



ოქონა და ღალატის პარტიის სხენარი ვერ განსოქსიელდება!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის საბანგებო განცხადება

კანდიდატობაზე უარის თქმის არავითარი მიზეზი არა აქვს, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის სტატუსს უკრაინასა და მოლდოვას მიანიჭებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ სწორედ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მიაღწია ყველა ხელშეწყობის შედეგს ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მოვანერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებასა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან და მივიღეთ უიზო მიმოსვლის რეჟიმი. საქართველო ყველა შესაბამისი პარამეტრით წინ უსწრებს ორივე აპლიკანტ ქვეყანას, რასაც ვერავინ უარყოფს. მათ შორის, საქართველოს უკვე შესრულებული აქვს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების 45 პროცენტი, რაც უპრეცედენტო შედეგია. ამ მონაცემებით, საქართველო არა

– 10 წლის წინ, ხოლო ალბანეთს მ წლის წინ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი. ამასთან, განვერებაზე ოფიციალური მოლაპარაკებები მათგან დღეს მხოლოდ სერბეთთან და მონტენეგროსთან წარმოებს. რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთის ევროპულ საქმეთა მინისტრმა უკრაინასთან დაკავშირებით საჯაროდ განაცხადა, რომ ევროკავშირში მის განეერებას 10-15 წელი მაინც დასჭირდება.

იმ პირობებში, როდესაც კანდიდატის სტატუსი ევროკავშირს არც დაფინანსების და არც განეერების კუთხით არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, გაუგებარია, რატომ უნდა უთხრას მან საქართველოს სახელმწიფოს და ქართველ ხალხს უარი ამ სტატუსზე, როდესაც ჩვენი ქვეყანა და ხელისუფლება გამორჩეულია განეერებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისითაც.

ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის, უკრაინისთვის და მოლდოვისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ბუნებრივია, მნიშვნელო-

ვანი პოლიტიკური გზავნილი იქნება ორი თვალსაზრისით: პირველი, ამით, ევროკავშირი გამოხატავს სოლიდარობას სამი ქვეყნის მიმართ, რომლის ტერიტორიები რუსული ოკუპაციის ქვეშაა; და მეორე, კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, ევროკავშირი აცხადებს, რომ არ ეშინია რუსული რეაქციის და პრინციპულ პოზიციას ავლენს სამი ქვეყნის მხარდაჭერის საკითხში.

რისთვის შეიძლება უღირდეს ევროკავშირს ამის საპირისპირო გზავნილის გაუფრება, სრულიად გაუგებარია. ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომაც ევროკავშირის უარი კანდიდატის სტატუსზე სრულიად ალოგიკური იქნებოდა. ევროკავშირის მხრიდან ეს იქნებოდა დაუსყვებელი, როგორც უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ელჩის განეევა იყო.

საუბარი იმაზე, რომ ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატობაზე უარი ერთი სახელმწიფოზე გადამტერებული და ეკლესიის მაგინებული კრიმინალის გამო შეიძლება უთხრას, რომელიც 9-წლიან დანა-



სომხეთის პრეზიდენტი საპარტეზლოში

სალომე ზურაბიშვილი: რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე ვითარება რჩება უმძიმესი, სუვერენობის უზღუდელყოფა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა გრძელდება და მიმდინარეობს. რასაც ემატება დღეს ახალი მუქარა რეფერენდუმი სახით, რომელიც გამოცხადებულია 17 ივლისისთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სომხეთის პრეზიდენტთან, ვაჰაგნ ხაჩატურიანთან ორბელიანების სასახლეში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ევროპის ინტეგრაციის გზაზე გამოჩენილი ახალი შესაძლებლობები ძალიან დიდ შანსს წარმოადგენს საქართველოსთვის და ასევე ამ რეგიონისთვის, რომელიც შედის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

„დიდი იმედი გვაქვს, ეს გააჩენს ყველა მხრივ კიდევ ახალ შესაძლებლობებს პოლიტიკური, თუ ეკონომიკური შესაძლებლობების ახალი განვითარების კუთხით. ჩვენს რეგიონის მომავალი ამავე დროს მჭიდროდ არის დამოკიდებული მშვიდობიან გარემოზე. ვიმედოვნებთ, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებები წარმატებულად გაგრძელდება. მივსალმებით ევროკავშირის ჩართულობას ამ თვალსაზრისით და ვიცით, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგებზე დამოკიდებულია ამ რეგიონში სრული მშვიდობის დამყარება, ამ მშვიდობის დამყარებაზე არის დამოკიდებული ეკონომიკური განვითარება და ყველა ახალი გეგმები, რომელიც ენება ამ რეგიონს და მას უქმნის სამომავლოდ ძალიან დიდ პერსპექტივას“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მისივე განცხადებით, სომხეთის პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრისას ხაზი გაუსვეს ქვეყნებს შორის არსებულ კავშირებს და თანამშრომლობის გაზრდის დიდ პოტენციალს სატრანსპორტო და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში.

„ეს არის სფეროები, რომლებიც იქნებიან დღეს ახალ დატვირთვას და რომლის განვითარებაზე შევედრებით. რეგიონის სატრანსპორტო პოტენციალი, ახალი ინფრასტრუქტურული ქსელები და ენერჯეტიკის ახალი გზები ჩვენ ორივე ქვეყნის მაღალ ინტერესს წარმოადგენს და ერთობლივად ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. აღვნიშნეთ რა საქართველოში შექმნილი ყველა პირობა, რათა სომხური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებმა შეინარჩუნონ საკუთარი კულტურა და ენა, ამავე დროს შეძლონ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ცხოვრებაში. ამ კუთხით ძალისხმევა არ შენეულდება. სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის მოქალაქეების მშვიდობიანი თანაცხოვრება ამ ქვეყანაში მეტყველებს ქვეყანაში შექმნილ შემწყობარებულ პირობებზე და წარმოადგენს პოზიტიურ მაგალითს კავკასიის რეგიონისთვის კავკასიის ტრადიციის გაგრძელებას. მინდა, ჩვენს ორივე ქვეყანას ვუსურვო მშვიდობა, კეთილდღეობა, განვითარება და ჩვენი ურთიერთმეგობრობის კიდევ უფრო გამყარება მომავალი საუკუნეების მანძილზე“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

შაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი იყო, რომელიც ქართული პოლიტიკის პოლაროპოზიციის საკვანძო როლს ასრულებს და რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“ 7 მილიონით გაძარცვა, უბრალოდ, ღიმილისმომგვრელია და ეს ვერსია სერიოზულ განხილვას არ ექვემდებარება. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ უკრაინაში წინა ორ პრეზიდენტზეა აღძრული სისხლის სამართლის საქმე. მოლდოვაში კი, წინა პრეზიდენტზე სისხლის სამართლის საქმე მას შემდეგ აღძრეს, რაც მოლდოვამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე განაცხადი შეიტანა. ამასთან, მოლდოვის ყოფილი პრეზიდენტი საქმის აღძვრიდან რამდენიმე დღეში დააპატიმრეს კიდევ. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ სააკაშვილი და გვარამია ბევრად უფრო მძიმე დანაშაულებში არიან მხილებულ-ბრალდებულნი, ვიდრე პეტრო პოროშენკო, ვიტორ იანუკოვიჩი ან იგორ დოდონი. ამის მიუხედავად, „ომის პარტია“ და მისი უცხოელი ლობისტები, რატომღაც, იმედს არ კარგავენ და აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიკალიზაციისა და მათი უცხოელი ლობისტების გათიშვა მართლაც, საქართველომ არ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ამავე უნდა მოახდინოს საზოგადოების მობილიზაცია, ნაციონალური მოძრაობის მიერ ხელისუფლების გადატრიალება და საპარტეზლო ომში ჩართვა. საზოგადოებას ვაპლივი პირობას, რომ გააპრიანოს შეპარების ორბანიზატორებისა და მონაწილეების, ახალი შუალედის კომიტეტის, ომისა და ღალატის პარტიის ეს ცენარეო საპარტეზლო ვერ განხორციელდება და ზუსტად ისევე ჩაიშლება, როგორც მათ ხელისუფლების გადატრიალების ყველა წინა მცდელობა ჩაუშვალათ. საპარტეზლო არის სახელმწიფო და მას უკავს ხელისუფლება, რომელიც ჩვენს ძველანაირ არც არაუშვებს და არც ომს არ დაუშვებს. ყველას, მისაც საპირისპირო მიზნები აქვს, საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან საპარტიო პასუხი გაიცემა.

ბუქარესტი და თბილისი დაკომოვილდნენ...

თბილისის 22-ე დამზობილებული ქალაქი ჰყავს. ბუქარესტში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თბილისის მერმა კახა კალაძემ ბუქარესტის მერ ნიკუშორ დანთან ერთად, ხელი მოაწერა თბილისისა და ბუქარესტის დამზობილების ხელშეკრულებას. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველო-სა და რუმინეთის დედაქალაქებს შორის თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით: კულტურა, გამწვანება, ურბანული განვითარება, სპორტი, ტურიზმი, ეკონომიკა, სავაჭრო ურთიერთობები და სხვა. ხელშეკრულების ხელმოწერამდე, კახა კალაძემ და ნიკუშორ დანამ ორმხრივი შეხვედრა გამართეს, სადაც ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებს, რომელიც საერთო ღირებულებებზეა დაფუძნებული. გამოითქვა სურვილი, რომ როგორც თბილისში, ისე ბუქარესტში გაიხსნას შესაბამისი ქალაქების სახელობის სკვერები, ან მათი სახელები მიენიჭოს რომელიმე ქუჩას. „დღეს მოგვეცა შესაძლებლობა, ხელი მოგვეწერა ბუქარესტთან დამზობილების მემორანდუმისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა იმ თვალსაზრისით, რომ გვექნება შესაძლებლობა, ვითანამშრომლოთ სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა: სპორტი, კულტურა, ურბანული განვითარება, ტრანსპორტი. არსებობს მთელი რიგი მიმართულებები, სადაც ბუქარესტი წარმატებულია და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გაზიარება ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. დღეს ასევე, გვექნება შესაძლებლობა, შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის. მერთან შევთანხმდით იმაზეც, რომ თბილისისა და ბუქარესტის სახელობის ქუჩები ან რეკრეაციული სივრცეები, სკვერები გაჩნდეს, როგორც ბუქარესტში, ასევე თბილისში. ზოგადად, მიმაჩნია, რომ დამზობილების ფარგლებში, გვაქვს იმის რესურსი, ურთიერთობები კიდევ უფრო გააღრმავოთ, კიდევ უფრო საინტერესო გახადოთ და ის გამოცდილება, რომელიც ბუქარესტს გააჩნია, თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის და ურბანული განვითარების თვალსაზრისით, გაზიარებულ იქნას“, - განაცხადა კახა კალაძემ. ბუქარესტის მერმა იმედი გამოთქვა, რომ დამზობილების ხელშეკრულების გაფორმება ორ ქალაქს შორის სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ბუქარესტში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თბილისის მერმა კახა კალაძემ ბუქარესტის მერს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ბიუსტის დადგმის გადაწყვეტილებისთვის მადლობა გადაუხადა. „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული ეპოსია, თუმცა, ამავდროულად მსოფლიო კულტურის საგანძურია, რომელსაც ნაციონალური საზღვრები არ გააჩნია. რუსთაველმა ევროპაში რენესანსის დადგომამდე ჩამოყალიბა ევროპული ჰუმანიზმის პრინციპები და შექმნა ტექსტი, რომელიც ზოგადად საკაცობრიო ღირებულებებზეა დაფუძნებული. „ვეფხისტყაოსანი“ დამსახურებულად ეწერება დასავლური სამყაროს საგანძურში, რუსთაველი კი ისეთი ავტორების გვერდით, რომლებმაც ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი“, - განაცხადა თბილისის მერმა. კახა კალაძემ თბილისისა და ბუქარესტს შორის დამზობილების მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ იგი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებას.




„საქართველო, რომელმაც ევროკავშირში განწევრების განაცხადი უკვე გააკეთა, რუმინეთის მსგავსად, წარმატებით გაივლის პროცესს და მიიღებს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს. უახლოეს მომავალში საქართველო და რუმინეთი, როგორც მეგობარი ქვეყნები, უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატუსით შეძლებენ მშვიდობისა და საერთო კეთილდღეობისთვის თანამშრომლობას“, - აღნიშნა კახა კალაძემ. ბუქარესტის მერის განცხადებით, მათთვის დიდი პატივია, გაიხსნას ძეგლი, რომელიც ეპიკური პოემის - „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნის. „ჩვენთვის დიდი პატივია, გახსნათ ძეგლი, რომელიც ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდებულ წარმომადგენელს, ეპიკური პოემის - „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნის. როდესაც ვსაუბრობთ ნიკუშორ, ლიტერატურის ნიმუშზე, ვაქცევთ ყურადღებას, რომ ის მისი დაწერილი ბევრი წლის შემდეგ იკითხებოდეს, რაც ხაზს უსვამს პოეტის უნივერსალობას, რომელიც გადმოსცემს ერის ღირებულებებს და მის მიერ დაწერილი სიტყვებისთვის პატივისცემას იმსახურებს. ასევე, ხაზს უსვამს და ამტკიცებს, რომ ლიტერატურა და პოეზია ეკუთვნის ყველას, მიუხედავად წარმომავლობისა და ეროვნებისა.“

ბუქარესტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ცერემონიას კახა კალაძესთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყეშელაძე, ასევე საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

„აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქებისთვის. ბუქარესტსა და თბილისს აქვთ ძალიან ბევრი საერთო. არსებობს საერთო ინტერესები, როგორც არის ურბანული განვითარება, კულტურა, ტრანსპორტი და ა.შ. იმედი მაქვს, რომ ურთიერთობების გაღრმავება დაგვეხმარება ჩვენი მოსახრებებისა და გამოცდილების გაძვივებას და შემდგომ თანამშრომლობაში“, - განაცხადა ნიკუშორ დანმა. ამასთან, კახა კალაძემ დამზობილებული ქალაქის მერი დელეგაციასთან ერთად თბილისში მოიხივია.

„აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქებისთვის. ბუქარესტსა და თბილისს აქვთ ძალიან ბევრი საერთო. არსებობს საერთო ინტერესები, როგორც არის ურბანული განვითარება, კულტურა, ტრანსპორტი და ა.შ. იმედი მაქვს, რომ ურთიერთობების გაღრმავება დაგვეხმარება ჩვენი მოსახრებებისა და გამოცდილების გაძვივებას და შემდგომ თანამშრომლობაში“, - განაცხადა ნიკუშორ დანმა. ამასთან, კახა კალაძემ დამზობილებული ქალაქის მერი დელეგაციასთან ერთად თბილისში მოიხივია.





ყირიმის ომი

ქაო, კმით ხარ კლი-
ერიო, ნათქვამია. მშვე-
ნივრად არის ნათქვამი,
მაგრამ ცხოვრება დაა-
სტურა, რომ ეს ხანდა-
ხან ასე სულაც არ არის
და ქაო, კმით არ ხარ
კლიერი. ამის სხივფინა-
რი მაგალითია რუსეთსა
და უკრაინას შორის დღ-
ეს არსებული მდგომარე-
ობა: ისინი სრულმასშტა-
ბიან, სისხლისღვრელ
ომში არიან ჩაბმულნი.

ქაო, კმით არ ხარ კლიერი!

ლორუსებად ჩამოყალიბება. XIV-XV სა-
უკუნეებიდან უკრაინელები უკვე ცალკე
გამოიყვნენ, როგორც დამოუკიდებელი
ეთნოსი ენის, კულტურისა და ყოფის თა-
ვისებური, სპეციფიკური ნიშნებით. უკ-
რაინელი ხალხის ჩამოყალიბების ცენ-
ტრები განლაგდა დნეპრის აუზში-
კიევი და პოლტავა ჩრდილო-დასავლეთით,
ჩერნიგოვი უფრო სამხრეთით.

სახელწოდება „უკრაინა“ თავდაპირ-
ველად რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის
მხრებში მიიღეს და ნიშნავდა სასაზღვრო
ოლქს (край – საზღვარი), შემდგომში კი
გავრცელდა უკრაინის მთელ მხარეზე და
შევიდა უკრაინელი ხალხის ეროვნულ-ეთ-
ნიკურ სახელწოდებაში.

აქვე სათქმელად. კიევის
რუსეთის ცხოველი ურთიერ-
ობა ჰქონდა უძველეს
ქრისტიანულ სახელმწიფო-
ებთან-ბიზანტიასა და სა-
ქართველოსთან. რუსული
წყაროების მიხედვით კიევი-
ის დიდმა მთავარმა იზიას-
ლავამ ცოლად შეირთო
აფხაზთა (ქართველთა) მე-
ფის ასული. ქართულ ისტო-
რიოგრაფიაში, არაპირდა-
პირ წყაროებზე დაყრდნო-
ბით გამოთქმულია საკმაოდ
დამაჯერებელი ვარაუდი,
რომ დავით აღმაშენებელმა
ყივრალეები გადმოასახლა
დიდ მთავარ ვლადიმერ მო-
ნომახთან დიპლომატიური
მოლაპარაკების შედეგად.
დადასტურებულია კულტურ-
ული ურთიერთობის ფაქ-
ტებიც. კერძოდ, ეკლესიების
(კიევის ლავრა, ნოვგორო-
დისა და ვლადიმირის ტაძ-
რები და სხვ.) ფერწერითა
და მოზაიკით შემკობაში
მონაწილეობდნენ ქართვე-
ლი მხატვრები.

მოგვიანებით „ქვათა შეგროვების
ჟამი“ დაიწყო. ამასაც უფროსმა ძმამ
– რუსეთმა მოჰკიდა ხელი, არა უმცრო-
სი ძმის სიყვარულით, არამედ საკუთა-
რი მადის დასაცხრომად. XVIII საუკუნ-
ის დასასრულს მან მარჯვენა ნაპირის
უკრაინაზე ააღებინა ხელი მეზობლებს.
რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების
ომის შედეგად მიიღო დნეპრისა და
სამხრეთ ბუგის შესართავებს შორის
არსებული ტერიტორია. 1783 წელს
შეიერთა ყირიმი, 1791 წელს კი იასის
ზავით, სამხრეთ ბუგსა და მდინარე
დნეპრს შორის მდებარე მიწებიც. იქ
წარმოიშვა ქალაქები: ხერსონი, ნიკო-
ლაევი, ოდესა.

უკრაინის მიმართ „მამობრივი“
მზრუნველობა გამოიჩინა საბჭოთა ხე-
ლისუფლებამ: დიდი სამამულო ომის
წინ, პოლონეთში ლაშქრობის შემდეგ
მას დაუბრუნა ჩრდილოეთი ბუკოვინა
და ბესარაბიის ნაწილი, 1945 წელს-იმ-
ერკარპატები, ტერიტორია, რომელიც
ძირითადად უკრაინელებით არის და-
სახლებული.

ასეთია ამ არა მოძმე, არამედ ძმა
ხალხების, უკრაინელების და რუსების
თანაცხოვრების უმოკლესი ისტორია,
ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორც
საბჭოთა სკოლაში გვასწავლიდნენ. ოლ-
ონდ აქ ისიც იკვეთება, როგორც ნათ-
ლად დაინახეთ, რომ ეს ორი ძმა ცხოვ-
რობდა „უფროს-უმცროსობის“ პრინცი-
პით, რომ ორი საუკუნის წინ უფროსმა
ძმამ ძირითადად დაასრულა უმცროსი
ძმის ჩაყლაპვა, უკრაინის თითქმის მთე-

ლი ტერიტორიის მიერთება. ოღონდ, XX
საუკუნის ათიანი წლების ბოლოს უკ-
რაინა რუსეთის მიერ მიერთებულ-
ერთიანებული სახით ჩამოყალიბდა და-
მოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად
და შევიდა სსრკ-ის შემადგენლობაში.
1954 წელს მას რუსეთის ფედერაციის
შემადგენლობიდან გადაეცა (ნიკიტა
ხრუშჩოვის მეფური საჩუქარი) ყირიმის
ნახევარკუნძული.

ბიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტა ყო-
ველდღიურობად იქცა. ერთმანეთის უკ-
ეთურობის აღსანიშნავად იხმარება იგ-
ივე ეპითეტები, როგორებიც დიდი სა-
მამულო ომის დროს და კარგა ხანს შემ-
დეგაც იხმარებოდა. ფართო გასაქანი აქ-
ვს „უკრაინულ ფაშიზმს“, „ნაციტურ უკ-
რაინას“, „საზიზღარ ოკუპანტს“, „დამ-
პყრობლებს“, „მკვლელებს“... და ამ დამ-
პყრობელთა მიმართ სიძულვილი იმდენ-
ნად დიდია, რომ ამ დღეებში, გაგანია ომის
დროს, ხარკოვში აიღეს სახელგანთქმუ-
ლი სლავი მხედართმთავრის, ნოვგორო-
დის დიდი მთავრის, ჩუდის ტბაზე გერ-
მანელი ტევტონი რაინდების გამანადგუ-
რებლის ალექსანდრ ნეველის ძეგლი, რო-
მელიც ამჟამად მოსკალებს უყავთ მისა-
კუთრებული. ამას წინათ ტელევიზიით
მოვისმინე გამწარებული უკრაინელი კა-
ცის გინება: „რა ძმები ვგენი არიან, მაგათი
დედაო...“

ამრიგად, იმის მიუხედავად თუ რო-
მელი მხარის გამარჯვებით დამთავრდე-
ბა ომი, წინასწარ დაბეჯითებით შეიძ-
ლება თქმა, რომ ორივე მხარე მწარედ
დამარცხდება, ვინაიდან ძირძირობამ-

დე ინგრევა, ნადგურდება, ისობა საერ-
თო, საუკუნეებიდან გადმოყოლილი
ფესვები, საერთო თანაცხოვრებით, სა-
ერთო შრომითა და ბრძოლით ნაზარ-
დი და ნაფერები. ისევე ხელახლა აშენდე-
ბა ბუჩა, მარიუპოლი, ხარკოვი და სხვა
იავარქმინი ქალაქები, მაგრამ ათწლეუ-
ლები არ იკმარებს იმის აღსადგენად,
რაც ამ ორ ერს ადულაბებდა, აკავში-
რებდა და ასე ერთი ხელის მოსმით გა-
ნიბნა და განქრა. რუსები უკრაინელებს
აბრალებენ: მრავალი წელია სულს უბ-
ერავდნენ, რომ კოკონი აეგებოდათ-
ნათო; ბუნებრივია, უკრაინელებსაც აქ-
ვთ სათქმელი. ჩვენ თვითონაც ხომ ვართ
მომსწრნი, როგორ ალვი-
ვებდა უკრაინელთა სიძულ-
ვილს, როგორ დასცინოდა
მათ რუსული მედია. მაგა-
ლითად, ამ უკეთურ საქმეში
ძალიან დიდი როლი შეას-
რულა ტელენამყვან ვლადი-
მერ სოლოვიოვის მართლაც
ფაშისტურმა გადაცემებმა.
ცოტა ხნის წინათ ტელევი-
ზიით რუსული ფილმი „ტა-
რას ბუღბა“ ვნახე. „ისტო-
რიული აღმოჩენა“ მეცა
თვალში: ფილმში ზაპორო-
ჟიელი (უკრაინელი) კაზაკე-
ბი „დედა რუსეთს გაუმარ-
ჯლოს“ ამ სიტყვებით კვდე-
ბიან პოლონეთთან ბრძო-
ლაში. ეს საზგასმით, გამოკ-
ვეთილად ხუთჯერ მაინც ექ-
ორდება და საგანგებოდ მი-
ყვება ყურადღებას. ასეთ აშ-
კარად ყალბ „ისტორიულ“
წიაღსვლებსაც ჰქონდა თა-
ვისი ჩასაფრებული დანიშ-
ნულება.

ომი გრძელდება, ბოლო
არ უჩანს, თუმცა, სამწუხა-
როდ იკვეთება, რომ გმირუ-
ლად მებრძოლი უკრაინა
თანდათან იწრიტება სის-
ხლისგან. რუსეთი არა უბრა-
ლოდ გამარჯვებისთვის იბ-
რძვის, არამედ ახალ-ახალი მიწების წაგ-
ლეჯისთვის, უკრაინის დანაწევრების-
თვის, თავისად შეგულებული ძველის და-
საბრუნებლად. ამან არ შეიძლება სხვათაც
არ აღუძრას იმედი, თუ რუსეთისთვის შე-
იძლება ეს, რატომ არ შეიძლება ჩვენთვის-
სო. ხომ შეიძლება, მაგალითად, პოლონეთ-
საც გაეღვიძოს მადა გალიციის თუ და-
სავლეთ გოლინის დასაბრუნებლად; ლიტ-
ვას კი-ჩერნიგოვისა და პოდოლიის; რუ-
მინეთს-ბუკოვინის; თურქეთს-ყირიმის...
აგერ, ჩინეთმა უკვე გაუკრაჭუნა კბილები
ტაივანს... ეშმაკმა დაღახვროს, ასე ხომ შე-
იძლება მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს?
ალექო
ასლანიშვილი



ომი გრძელ-
დება, ბოლო არ
უჩანს, თუმცა,
სამწუხაროდ იკ-
ვეთება, რომ
გმირულად მებ-
რძოლი უკრაინა
თანდათან იწრი-
ტება სისხლის-
გან. რუსეთი არა
უბრალოდ გა-
მარჯვებისთვის
იბრძვის, არამედ
ახალ-ახალი მი-
წების წაგლეჯის-
თვის, თავისად
შეგულებული ძვე-
ლის დასაბრუნე-
ბლად. ამან არ შე-
იძლება სხვათაც
არ აღუძრას იმე-
დი, თუ რუსეთის-
თვის შეიძლება
ეს, რატომ არ შე-
იძლება ჩვენთვის-
სო. ხომ შეიძლე-
ბა, მაგალითად,
პოლონეთსაც გა-
ეღვიძოს მადა
გალიციის თუ და-
სავლეთ გოლინის
დასაბრუნებლად;
ლიტვას კი-ჩერნი-
გოვისა და პოდო-
ლიის; რუმინეთს-
ბუკოვინის; თურ-
ქეთს-ყირიმის...
აგერ, ჩინეთმა
უკვე გაუკრაჭუნა
კბილები ტაივანს...
ეშმაკმა დაღახვ-
როს, ასე ხომ შე-
იძლება მესამე
მსოფლიო ომი და-
იწყოს?
ალექო
ასლანიშვილი



გლობალური სატრანსპორტო ქსელების სწრაფმა განვითარებამ მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან გლობალური სატრანსპორტო სისტემის შექმნამდე მიგვიყვანა, რაც დღეს ღრმა სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებების პროცესშია. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და შრომის საერთაშორისო დაყოფამ ტრანსპორტი საწარმოო ციკლის განუყოფელ ნაწილად გახადა და გლობალური ზრდის ძლიერ მამოძრავებელ მექანიზმად აქცია. ამავე დროს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ GATT-ის ფარგლებში – გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (ამჟამად WTO) ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება და შემცირება გამოიწვია, საზღვრის გადაკვეთაც გაამარტივა ადამიანებისა და ტვირთისთვის.



სატრანსპორტო დიკლომატიის

ქველი პრობლემების გადაწყვეტის ახალი მიდგომა

ამ ობიექტურ, პოზიტიურ პროცესებს, ამავე დროს, არ შეიძლება კონკურენცია არ გამოეწვივა, როგორც დარგთაშორის ასევე სხვადასხვა სატრანსპორტო სისტემას შორის. ამასთანავე, ყველაზე მძიმე ვითარებაში განვითარებადი ქვეყნები აღმოჩნდნენ, რომლებიც სატრანსპორტო პარკს, ინფრასტრუქტურას და ტექნოლოგიურ რესურსებს მოკლებულნი იყვნენ. თუმცა, სწორედ ისინი არიან გლობალურ ბაზარზე მრავალი სახის საკვებისა და ნედლეულის წამყვანი მწარმოებლები და მომწოდებლები. მიუხედავად მსოფლიო ბანკის, რეგიონული განვითარების ბანკების, ჩინეთის ბანკების მხრიდან სერიოზული ფინანსური წვლილისა ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განვითარებაში, სწრაფად წარმოშობილი ახალი პრობლემები მაინც ვერ გადაჭრა. უფრო ხშირად ეს პრობლემები ჩნდება ინდუსტრიების კვებაზე და გავლენას ახდენს ტრანსპორტის რამდენიმე რეჟიმზე ერთდროულად (მაგალითად, პორტის საწყობებთან მისასვლელი გზების განვითარება, „მშრალი“ პორტების შექმნა და ა.შ.).

ფართომასშტაბიანი რეზოლუცია მიიღო, რომელმაც ისტორიაში პირველად, გლობალური მასშტაბით ტრანსპორტის განვითარების საერთო სახელშეკრულებო სამართლებრივ ჩარჩოს ჩაუყარა საფუძველი. ჩატარდა გაეროს ორი გლობალური კონფერენცია მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების საკითხებზე – აშხაბადში (2014 წ.) და პეკინში (2021 წ.).

ეროვნულ-პოლიტიკური, საგარეო-ეკონომიკური და ინტეგრაციული პრიორიტეტების რეალიზაციის მიზნით სატრანსპორტო-საკომუნიკაციო შესაძლებლობების პოტენციალის გამოყენებას ხშირად მოიხსენიებენ ქვეყნების და კავშირების მმართველები. უნდა დაინერგოს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა სასაზღვრო ქვეყნებთან და რეგიონებთან, ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) ფართომასშტაბიანი პროგნოზის ფორმირების მიზნით, რომლის განახორციელებს ხელშეწყობისთვის ევროკავშირი ყველა არხით აქტიურად მოღვაწეობს.

2014 წელს ჩინეთმა წამოიწყო არანაკლებ გრანდიოზული პროექტი „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რაც მოიცავს არა მარტო სახმელეთო მარშრუტებს და დერეფნებს, ჩინეთს ევროპულ ქვეყნებთან აკავშირებს, ასევე საზღვაო მაგისტრალს, რომლებიც მზარდ ორმხრივ ვაჭრობას უზრუნველყოფენ ციურ იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკას შორის. და ამ თაოსნობაში ჩინეთი ტრანსპორტს განიხილავს როგორც ერთ-ერთ მთავარ შესაძლებლობას ევროპას, აზიას, აფრიკას და ახლო აღმოსავლეთს შორის უზარმაზარ ტერიტორიაზე საკუთარი ინტერესების წინ წამოწევის და გაძლერების საქმეში.

სატრანსპორტო პოლიტიკაზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ინტეგრაციის პრიორიტეტზე და ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ კომპონენტზე საუბრობენ ASEAN-ში და ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანებაში. სატრანსპორტო დერეფნის ევროპა – კავკასია – აზია (TRACECA) განვითარება არის სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვის რეგიონის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ათეული ქვეყნის შიდა პოლიტიკური და შიდა-სავაჭრო ინტერესების ხელშეწყობის საფუძველი. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, პირველ ადგილზე დგას სატრანსპორტო განვითარების პოლიტიკური მიზნები, ამ მიზნების ხელშეწყობა ხორციელდება დიპლომატიური მეთოდებით, ხოლო ტრანსპორტის განვითარების ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხები არის მიმდინარე პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციის შედეგები.

ამრიგად, დღემდე ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ურთიერთობების საგანგებო სფერო, რომელიც ეხება სა-

ხელმწიფოთაშორის ურთიერთობების მონქსრიგებას და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებას სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში, ე.ი. **არსებობს საფუძველი, ვილაპარაკო სატრანსპორტო დიპლომატიის, როგორც ეკონომიკური დიპლომატიის დამოუკიდებელი მიმართულების და სატრანსპორტო პოლიტიკის წარმოშობაზე.** სატრანსპორტო დიპლომატია თავისთავად ეკონომიკური დიპლომატიის ზოგიერთი საერთო მახასიათებელსაც მოიცავს, ასევე რიგ სპეციფიკურ მიმართულებებსაც სწვდება, რომლებიც ბევრი ობიექტური მიზეზით ისტორიული, გეოგრაფიული და ასევე სამხედრო მნიშვნელობით, ფრიად დამოუკიდებელ ხასიათს იძენენ. პირველ რიგში, ასეთი დამოუკიდებელი მიმართულების საკითხებში შეიძლება შემდეგი გავავითიანოთ:

- გლობალიზაციის პირობებში, საგარეო ეკონომიკური და ინტეგრაციის პრიორიტეტების განხორციელებაში ტრანსპორტის მნიშვნელობა;
- საერთაშორისო და ეროვნული სატრანსპორტო სამართალი;
- საერთაშორისო და რეგიონული სატრანსპორტო პოლიტიკა;
- სატრანსპორტო პოლიტიკა, როგორც მრავალმხრივი სავაჭრო პოლიტიკისა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში;
- ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განვითარების საინვესტიციო ასპექტები;
- სატრანსპორტო უსაფრთხოება;
- საქალაქო ტრანსპორტი და მოსახლეობის მობილურობა;
- ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის ურთიერთკავშირი, ეკოლოგია ტრანსპორტში და პრობლემები;
- მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები;
- მგზავრთა საერთაშორისო გადაზიდვები;

ყველა ზემოაღნიშნული მიმართულება რეგულირდება მნიშვნელოვანი რაოდენობის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მათ შორისაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ც. თუმცა მათი სამართლებრივი გზით აღსრულება მნიშვნელოვნად რთულია და ხშირად წარმოიქმნება პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ელემენტარულად ცუდად ინფორმირებასთან, ხანდახან კი ადგილობრივი ვალდებულებების შესრულების სურვილის არქონასთან. სამაგიეროდ, ტრანსპორტის სფეროში ამა თუ იმ საერთაშორისო შეთანხმებების და საერთაშორისო სამართლის ჰარმონიზაციით რეალიზებული ეკონომიკური ეფექტი აითვლება ასეული მილიონი დოლარის ოდენობით.

ასევე უნდა აღნიშნოს საქართველოს სახელმწიფო მოხელეების, ყოფილი სსრკ ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა ინფორმაციის ფლობის დაბალი დონე სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ, რასაც სხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ასორციელებენ. სპეციალისტების და ფართოდ გამოყენებული ვითარებით მიდგომების არქონა, რასაც სტრატეგიულ აზროვნებასთან საერთო არაფერი აქვთ, ხელს უშლიან განხორციელებული და მომავალზე ორიენტირებული საქართველოს სატრანსპორტო, საგარეო ეკონომიკურ და საბოლოოდ, საგარეო პოლიტიკის შემუშავებას.

სატრანსპორტო დიპლომატიის აქტიური პრობლემების ცოდნა აუცილებელია სახელმწიფო მოხელეებისთვის, მათ შორის, სამინისტროს და უწყებების, მთავრობის აპარატის, საზღვარგარეთ სავაჭრო და დიპლომატიური მისიის თანამშრომლებისთვის, საქართველოს წარმომადგენლებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ., კონკრეტულ სფეროში მიმდინარე ცვლილებების სწორი შეფასებისთვის, მყარი პოზიციის გამართლებად ჩამოყალიბებისა და მისი პროფესიულ დონეზე დასაცავად პარტნიორებთან ორმხრივი ან მრავალმხრივი მოლაპარაკების დროს. ამ საკითხების ცოდნა არანაკლებ საყურადღებოა, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ბიზნესისთვის – სატრანსპორტო, საექსპედიტორო, ლოჯისტიკური, სამართლის, ინფრასტრუქტურული და სხვა კომპანიებისთვის, რომლებიც საერთაშორისო კომერციულ ოპერაციებს ასორციელებენ.

მიუხედავად ამ აშკარა მოთხოვნისა, საქართველოსა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში არსებულ სასწავლო ინსტიტუტებს ვერ არ გაუცნობიერებიათ ასეთი კადრების საჭიროება და აგრძელებენ სპეციალისტების მომზადებას ძირითადად კომერციული და ექსპლოატაციის პროფილის მიმართულებით. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტების უმეტესობისთვის აღნიშნული საკითხის მოგვარება შეუძლებელია ამ დარგის სპეციალისტებისა და მასწავლებლების სიმცირის, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიური მასალების და

სხვა დამხმარე ლიტერატურის ნაკლე- ბობის გამო.

ამავდროულად არსებობს საგანმა- ნათლებლო დაწესებულებების მაგალი- თები, სადაც ამზადებენ სატრანსპორტო პოლიტიკისა და სტრატეგიული განვი- თარების სფეროს სპეციალისტებს.

ასეთ ცენტრში შესაძლებელი იქნე- ბოდა მსმენელთა სწავლება დასწრე- ბული და დაუსწრებელი (დისტანციური) ფორმით როგორც საქართველოდან, ასევე, სამხრეთ კავკასიის და ცენტრ- აღური აზიის სხვა ქვეყნებიდან.

სახელმძღვანელოებისა და მეთოდუ- რი სახელმძღვანელოების სახით შესაძ- ლებელი იქნებოდა იმ მასალების გამო- ყენება, რომლებიც უკვე მომზადებუ- ლია ნიუ-ორკის სატრანსპორტო დიპ- ლომატიის ცენტრის მიერ, „სატრან- სპორტო დიპლომატია ა-დან ჰოე-მდე“ „Иранспортная дипломатия от А до Я“ სახელმძღვანელოს ჩათვლით.

ამგვარი საგანმანათლებლო ცენ- ტრის შექმნის იდეა სრულად უპასუხებს საქართველოს სატრანსპორტო სისტე- მის შემდგომი განვითარების მიზნებს და ხელს შეუწყობს სატრანსპორტო პოტენციალის უფრო ეფექტურ განვი- თარებას ქვეყნის ეკონომიკური ინტე- რესებიდან გამომდინარე. ამის თაობ- აზე საუბარს ადგილი ჰქონდა 2021 წლის ოქტომბრის თვეში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ინსტიტუტ „საქგზა- მეციერების“ ორგანიზების საერთა- შორისო სატრანსპორტო კორიდორე- ბის გაციფრების და გლობალური სატ- რანზიტო დოკუმენტის დანერგვის სა- კითხვებთან დაკავშირებით.

მოაღს ვიტოვებთ, რომ წარმოდ- განილი თაოსნობა სათანადოდ შე- ფასებადელი იქნება და საძარტვე- ლოს სახელმწიფო ორგანოებიდან შესაბამის მხარდაჭერას მიიღებს.

გიორგი კვიციანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

თამაზ შილაკაძე

ინსტიტუტ „საქგზამეციერების“ გენერალური დირექტორი, ტრანსპორტის საერთა- შორისო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

იგორ რუნოვი

სატრანსპორტო დიპლომატიის საერთა- შორისო ცენტრის აღმასრულებელი მდივანი, მეცნიერებათა დოქტორი.

ტვირთვების ნაკადი 7-ჯერ არის გაზრდილი

გაუკლავს ქვეყნის ინფრასტრუქტურა?!

გაეზარდა ტვირთების ნაკადი პრაქტიკულად 7-ჯერ არის გაზრდილი. რამდენად გაუძლებს ამას ქვეყნის ინფრასტრუქტურა? ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილი ადასტურებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, სატრანსპორტო დერეფანში ტვირთები გაზრდილია, ხოლო ყაზახეთში საქართველოზე გამავალი დერეფნის ნავთობის გადაზიდვა უკვე დაიწყო, რაზეც განაცხადი მიმდინარე წლის აპრილში გააკეთა.

„რაც შეეხება სატვირთო დერეფანში ახალი რეალობის გათვალისწინებით მოზიდული ტვირთების საკითხს, განაცხადი უკვე არის და ყაზახეთში ნავთობის ტრანსპორტირება დაიწყო, რაც წელიწადში 2 მლნ ტონას შეადგენს. ამას გარდა, დამატებით სხვა ყაზახური ნავთობპროდუქტები 600 ათასი ტონა იქნება. ასევე იგეგმება 2.5 მლნ სხვადასხვა მშრალი და ნაყარი ტვირთის (როგორც ბიცია გოგორდი და სასუქები) ზრდა, გადაზიდვა.“

ჩვენი მოლოდინით 40-50 ათასამდე საკონტინერო რთული მოიმატებს ტვირთების ერთდროულად. ეს, ძირითადად, ჩინეთიდან, ცენტრალური აზიიდან ევროპაში მიმავალი ტვირთია. ამ პროცესში გამოყენებული იქნება როგორც ჩვენი, ასევე ბაქო-თბილისი-ყარაღის მარშრუტიც“, - განაცხადა გურამიშვილმა.

უმნიშვნელოვანესია, ქვეყანამ გამტარუნარიანობის ზრდასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე იზრუნოს,



სხვაგვარად გეოპოლიტიკური მდებარეობა მხოლოდ მოცემულამდენად დარჩება. სწორედ ამას ამხსილებს ყურადღებას დისტრიბუტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ივა ჭყონია.

„პრობლემა ახლა გამოძაფრდა, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. ომის პირობებში ტვირთების ნაკადი პრაქტიკულად, 7-ჯერ არის გაზრდილი, არა მხოლოდ ტვირთების, ცარიელი სატვირთოებისაც. ჩვენი ინფრასტრუქტურა კი, თავისთავად არ იძლევა ამხელა გამტარუნარიანობის შესაძლებლობას.“

ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია რეგიონში ლიდერად და შაბად იქცეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე ამისთვის, უმნიშვნელოვანესი იყო ღრმავლოვანი პორტი. აგრეთვე, რკინიგზა, რომელიც, როგორც იქნა, მოგებაზე გავიდა. უმნიშვნელოვანესია, რომ სააკინიგზო მიმართულებებს პრიორიტეტი მიეცეს, როცა ის სახელმწიფოს ხელშია.“

სხვანაირად, სიტყვები, რომ გვინდა, ვიყოთ შაბი, დარჩება შაერში იმიტომ, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები ამას უკვე აქტიურად მუშაობენ. მათ შორის, თურქეთის მხარე ძალიან ახლოს ბათუმიდან საერთაშორისო აეროპორტს აშენებს, რაც დიდი დარტყმა და კონკურენცია იქნება ჩვენთვის“, - განაცხადა ჭყონიამ.

ჯერჯერობით საქართველოს დერეფანი უაღტერნატივო ხდება, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა მნიშვნელოვანია ბოძებული შანსი ქვეყანამ სწორად გამოიყენოს. ტრანსპორტის დარგის ექსპერტი გელა კვაშილაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სატრანსპორტო დერეფნების გააქტიურება სხვა სფეროების განვითარებასაც იწვევს და აუცილებელია შესაძლებლობის სწორად გამოყენება.

„საქართველოზე გამავალი დერეფნების გააქტიურება სხვა სფეროების განვითარებასაც გამოიწვევს. მაგალითად, მომსახურების სფეროს, ასევე ლოჯისტიკურ ცენტრებს, სატრანსპორტო კომპანიებს. ყველაფერი, რა თქმა უნდა, იმოქმედებს ხარისხზეც, რადგან მოთხოვნები უფრო მაღალი იქნება და ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომ პოტენციური რესურსი, რომელიც ქვეყანას აქვს, მაქსიმალურად იყოს გამოყენებული.“

აშკარაა, რომ დერეფნების გააქტიურებას დიდი დედები იყვეტი ექნება იმ კუთხით, რომ შემოსავლები სატრანსპორტო მომსახურების კუთხიდან გაიზრდება, შეიქმნება ახალი ცენტრები, რაც დადებითად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტიურობაზეც. მოცემულობიდან გამომდინარე ჩანს, რომ საქართველო ჩაჯდება ახალ რეალიზაციაში“, - აღნიშნა გელა კვაშილაძემ.

ივა ჭყონია



„ოცნების ძალაში“ ბინების განაწილების კრიტერიუმები შეიქმნა

„ოცნების ძალაში“ საცხოვრებელი ბინების განაწილების კრიტერიუმები შეიქმნა შესაბამისი კომისიამ დაასრულა. კომისიის შემადგენლობამ როგორც მთავრობის, ასევე სხვა მხარეების ჩართულობით შეიმუშავა და წარმოადგინა საბოლოო კრიტერიუმები, რომელიც ადგენს საკმაოდ სამართლიან სტანდარტს, - აღნიშნული გადამწყვეტილების შესახებ განცხადება დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ბინები, შესაბამისი სოციალური მდგომარეობისთვის და საჭიროების მქონე „ოცნების ძალაში“ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს გადაეცემა.

„მინდა, მაღლობა გადავუხადო კომისიას პირველ რიგში, და ასევე აღვნიშნო, რომ ამ კრიტერიუმებით „ოცნების ძალაში“ მცხოვრები ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა დაკმაყოფილებდა შესაბამისი საცხოვრებელი. კომისიის მუშაობაში „ოცნების ძალაში“ მოსახლეობა, საერთაშორისო ორგანიზაცია იუნისეფი და წითელი ჯვარი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ბინები, შე-

საბამისი სოციალური მდგომარეობის და საჭიროების მქონე „ოცნების ძალაში“ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს გადაეცემა“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის „ბორჯომის“ შენარჩუნება

„ბორჯომის“ ჩამომსხმელი №1 ქარხნის დირექტორი მერაბ ახმეტელი აცხადებს, რომ არსებული კრიზისის გათვალისწინებით, ხელფასების 25%-იან ზრდაზე საუბარი, არარეალური მოთხოვნაა და მიზანმიმართული მცდელობაა, რომ დაზიანდეს ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი წარმოების პროცესი.

„ბორჯომის ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში ამჟამად დასაქმებულია 630 ადამიანი. მოგესხნებათ, დღეს კომპანია არის ურთულეს ვითარებაში, გაყინულია ანგარიშები, შეჩერებულია წარმოება და ექსპორტის 80%-ზე მეტი. დღეს ჩვენი მთავარი მიზანი კრიზისის დაძლევა და წარმოების გადარჩენაა. სწორედ ამიტომ, იმისთვის, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქართველოს ბაზარზე არ გვქონდეს წყვეტა, ჩვენს ხელთ არსებული მცირე რესურსით, და მინიმალური დატვირთვით დავინწყით წარმოების პროცესი. გვინდა, მუშაობის შესაძლებლობა მივცეთ თანამშრომლების იმ ნაწილს, ვინც მზადაა, გადასარჩენად. „IDS ბორჯომი“ საქართველო რჩება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო დამსაქმებლად, ჩვენ ამ ურთულეს პირობებშიც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ, მასშტაბური გათავისუფლების ნაცვლად, თანამშრომელთა 95% შევინარჩუნეთ, ასევე, უცვლელი დავტოვეთ სახელფასო განაკვეთი. შეიცვალა მხოლოდ არასამუშაო საათების დაანგარიშების სისტემა, თუმცა ის კვლავაც ინდუსტრიაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე უკეთესია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნამუშევარი საათების ანაზღაურება უცვლელი რჩება ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნულ ვითარებაში კი, არსებული კრიზისის გათვალისწინებით, ხელფასების 25%-იან ზრდაზე საუბარი, არარეალური მოთხოვნაა და მიზანმიმართული მცდელობაა, რომ დაზიანდეს ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი წარმოების პროცესი და დასაქმებული ადამიანები“, - აცხადებს „ბორჯომის“ ჩამომსხმელი №1 ქარხნის დირექტორი, მერაბ ახმეტელი.



მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნანა ღვინეფაძემ პოეზიის ჩუმ, ერთგულ მსახურებაში გაატარა, მაგრამ თეატრს და ჟურნალისტიკას იყო შეუღლებული და ლექსისთვის თითქმის ვეღარ იცლიდა. ცოტას წერდა, თუმცა რასაც წერდა, ნამდვილად ბაჯალლო იყო, სუნთქვასავით ლაღი და ბუნებრივი. ზოგიერთი პოეზიის მოყვარულის თვალში იგი ქართველ ანა ანმატოვად იყო წარმოდგენილი, და აკი თარგმნიდა კიდევ ამ საოცარ მეოცესაუკუნეულ პოეტს. რამდენიმე ლექსი, რომელთაც დღეს ვთავაზობთ, ნანა ღვინეფაძის სიცოცხლის ბოლოდროინდელია, სადაც ჩანს ნანას ფაქიზი პოეტური გემოვნება. ლექსები მოგვაწოდა ნანა ღვინეფაძის დამ, ცნობილი გერმანულენოვანი მთარგმნელმა რუსუდან ღვინეფაძემ.

მეზღაპრეს ლექსად ჩამყვა ღრმა ძილში, საშობაოდ რომ მომეძღვნა ალიონის არილში; ალავერდი ინაკლისთან, და მეორე დათასთან, - ალავერდი მომავალთან - ასთან, ასიათასთან! ალავერდი მაივთან, ნათივთან ქეზულთან, თამარვთან, ქეთევანთან დედულეთის კრებულთან! მე კი ნატვრად გამყვეს იქაც, - საუკუნო ღრმა ძილში, რომ ლექსი თავს შეინახავს, როგორც ღვინო ბარძიშში!

მიღწევა

ანა ანმატოვასადმი „მე მინდა გითხრა სამიძიანი, რომ მლოკი მოკვდა!“ პაოლო იაშვილი

- იცი, რა პოეტი იყო, შენ რომ სამიძიანი გაგიღე? მლოკის სიკვდილი რომ შეიცხადა, დარდი ხანჯალივით ავიღე... რა იქნებოდა მის თხონაზე ერთხელ გადმოგველო დარიალი! იცი, რა ვუკაცო იყო - ელენე... დარიანი?! პრინცივით დაგიხვდებოდა, გარს შემოგახვევდა მითებს, და ემთხვეოდა ერთად თამარის გამხდარ თითებს... იყო მოლოდინში თურმე ზვიადი დარიალი... და ცისფერთვალა პოეტი - პაოლო... დარიანი...

საბოლოო მიზანი! აქ მარხია სიღონია და იესოს კვართი, მე მიმყვება დაგლეჯილი საქართველოს დარდი!.. ალანაის, ალანაის მიწა - ერთი ადლი!

საშობაო საღამომო

მეამაყება და ამ მუნასიბს ნურვინ ჩამითვლის ქალიშვილი, - რომ ჩვენი გვარის ფუძეში ღვინოა, როგორც ბარძიშში, მეოცნებება და ამ ოცნებას ვყავარ იმედის არილში, რომ ამ მუნასიბს ოდესღაც გაიმეორებს ბადიში! რომ არც ის არ გაწყალდება, ვით ღვინო ოქროს ბარძიშში. - ალავერდი გიორგისთან, ალავერდი სესესთან, ალავერდი ჩემს დათასთან - ღვინის უმცროს ნეფესთან! ასე უთქვამს ძველ

ნანა ღვინეფაძე: ბაბაასება ვახუშტი ბატონიშვილის ახრდილიან

რას უქადის XXI საუკუნე საქართველოს?!

ტაოსაკენ, თორთომისკენ, ვყვირი, როგორც ხელი - გურჯიშობლამ ვინც შეგარქვა ძველად იყო მტერი... გურჯიშობლამ, გურჯიშობლამ, საქართველოს ყელი!.. მე აგვისტოს ომის შემდეგ კარგს არაფერს ველი - ვაპ, თუ მისცეს ჩრდილოეთმა სამხრეთს მრუდე ხელი!.. ხელმეორედ არ გამოსტყრან საქართველოს ყელი!.. - გურჯიშობლამ, გურჯიშობლამ!.. ვყვირი როგორც დელი... ამ სახელის ხსენებაზე რაღაც ხიფათს ველი - ორლესულით არ გამოტყრან საქართველოს ყელი!.. ჯერაც ახსოვს ივერთ მოდგმას ბასიანის ველი - თამარ მეფეს როცა

ახლდა ქართველობა ქველი!.. მაგრამ დღეს ეს ლეგენდაა - და ზღაპარი ძველი... ქართლის ვრცელი მათიანის მონათხრობი გრძელი... გურჯიშობლამ - ფრთხილად, ფრთხილად - არ გამოგტყრან ყელი!..

ანდერძნაბაბი

„იზრძოლეთ წინაპრების მსგავსად, რათა დაგიცვათ ჩვენი წილი საქართველო...“ ილია II

...„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“. ლადო ასათიანი

ჩემს მწინვალე თანაგარსკვლავედს - ანანოს, სალომეს, ქრისტინეს, მარიამს, ნინუცას, ელენეს, ელისაბედს, ანდრეას, მარმარეს! ღმერთმა ქართველს უბოძა მიწა ერთი ადლი... არავის არ გავატანოთ ჩვენი ქვეყნის მადლი!.. მტერიც მევენი გვყოლია, მოყვარეც და ხიზანიც, საქართველო იყოს თქვენი

ასი პიძინა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ზურაბ ხონელიძის სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინციტივიტი, ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიმართა. ეს სიმბოლურიც იყო, რადგან, როგორც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის დოქტორმა მირიან ხონელიძემ აღნიშნა, სწორედ ეს დღე შეესაბამებოდა ყველზე უკეთ ბატონ ზურაბ ხონელიძის მონოგრაფიის სულისკვეთებას. ზურაბ ხონელიძემ „საუნივერსიტეტო დიპლომატიით“ განათლებილია და დიპლომატიის შერწყმის უნიკალური, წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებული ახალი ხედვა შემოგვთავაზა - სახელმწიფოებრიობის მდგრადი და უწყვეტი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმა (მშვიდობა) განათლებისა და დიპლომატიის ერთობლივ მიზნებს. წიგნის ავტორის აზრით, ისტორიულ დროსა და სივრცეში „თავისდაუნებურად“ აღმოჩენილი „ქართული სახელმწიფოს ბედის თანაზიარი“ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმნიშვნელოვანესი მისიის მატარებელი უნდა გახდეს - იყოს ხიდი, რომელსაც აქვს ორი ფუძე, ორი საყრდენი - ერთი სოხუმში, მეორე კი - თბილისში. „მშვიდობის ქართულ პარადიგმას“ გამოცემისთანავე უდიდესი დაინტერესება მოჰყვა, ამიტომაც ბუნებრივი იყო ის ხალხმრავლობა, რომელიც ბიბლი-

„მშვიდობის ქართული პარადიგმა“




ოთეკის საგამოყენო დარბაზში დაგვხვდა - საქართველოს პარლამენტის წევრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმადლესი საბჭოს დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყვეტი სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები, სამეცნიერო საზოგადოება... პრეზენტაცია გახსნა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ნუგზარ რუსაძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზურაბ ხონელიძის წიგნს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონისთვის, როგორც სემუელ ჰანტინგტონის ნააზრევს მსოფლიოსთვის, რითაც ნათლად წარმოაჩინა ნაშრომის მნიშვნელობა თითოეული ქართველისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის ერთიანობა. წარდგენაზე სიტყვით გამოსვლის მსურველთა სიმრავლე ნაშრომის უნიკალურობითაც აისახნება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ლო-

ნისძიების ხელმძღვანელმა ლია ახალაძემ აღნიშნა, რომ „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ უნიკალური წიგნია, რომელშიც ნათლად არის წარმოდგენილი ბატონი ზურაბისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა კონფლიქტების მოწესრიგების პერსპექტივის თვალსაზრისით. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკიმ „ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელის - ზურაბ ხონელიძის ნაშრომს უმადლესი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ ის შეიძლება „სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვის სახელმძღვანელოდაც იქცეს“. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის, პროფესორ გიორგი ამილახვრის შეფასებით: „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ არის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელსაც კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში დიდი გარდატეხის შეტანა შეუძლია. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ეპითეტ „ღვანულმოსილით“ შეაფასა და დასძინა, რომ ბატონი ზურაბი არის ადამიანი, რომელიც სი-

მართლეს ხედავს და სიმართლისთვის იბრძვის. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო დევნილთა მხარდაჭერისთვის“ პრეზიდენტმა დალილა ხორავამ ბატონ ზურაბს მშვიდობის ელჩად არჩევა მიულოცა. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ და „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ შეაფასეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ ხუბუამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გულნაზ ხუბუამ, სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორმა გურამ ბოკურავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამშვიდობო განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან გერაძემ, ასევე, ჯემალ გამახარამ,

გიორგი შერვაშიძემ, მიხეილ ქვიციანი და სხვებმა. მათი თქმით, ზურაბ ხონელიძის ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია სამშვიდობო პროცესის აქტუალიზაციის თვალსაზრისით. ლონისძიების დასაბრუნებლად პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ დამსწრეთ მადლობა გადაუხადა მისი ნაშრომით დაინტერესებულთა და წიგნის წარდგენაზე მობრძანებისთვის, თან დასძინა, რომ ქვეყნის ბედის თანაზიარ უმაღლეს სახელმწიფო დიდი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლებისგან, რადგან ყველას კარგად ესმის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იდეა და მისია, რომ ეს სახელმწიფო სოხუმსა და თბილისს შორის დამაკავშირებელი ხიდაა. როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, უნივერსიტეტი უნდა იქცეს „სამშვიდობო პროცესებისა და მდგრადი მშვიდობის უწყვეტ-შემოქმედებით სააზროვნო კერად, ხოლო ინოვაცია - „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ - კონფლიქტების მოწესრიგების ისეთ უნიკალურ, სიცოცხლისუნარიან მეთოდად, საშუალებად, რომელიც კონფრონტაციიდან, ჩისური მდგომარეობიდან არა ძალისმიერ, არამედ მშვიდობიან კალამოტში გადაიყვანს ყველა ტიპის დაპირისპირება-კონფლიქტს“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობის პარადიგმას ალტერნატივა არა აქვს და ზურაბ ხონელიძემ სწორედ ეს გვიჩვენა - რომ არსებობს გზა, მეთოდი, გნებავე, მიმართულება, რომელსაც უნდა გავყვეთ შედეგის მისაღებად. ლელა მირცხულავა, ფილოლოგიის დოქტორი





ახალი სოფსტივალო სივრცე რუსთაველი

რუსთაველის ცენტრალურ პარკში საფესტივალო სივრცე „ოქსიგენი“ გაიხსნა, სადაც 25-26 ივნისს, წლების შემდეგ, პირველი მასშტაბური მუსიკალური ფესტივალი „ოქსიგენ-ფესტი“ ჩატარდება.

ცენტრალურ პარკში „ოქსიგენის“ ორგანიზატორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. მემორანდუმს ხელი რუსთაველის მერმა ნინო ლაცაბიძემ, სს „რუსთაველის აზოტისა“ და ორგანიზაცია „ოქსიგენი – რუსთაველი 2022“-ის წარმომადგენლებმა მოაწერეს.

„რუსთაველის აზოტი“ არის ადგილობრივი წარმოება, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ტიპის ღონისძიებების რუსთაველი ჩატარებას და სწორედ ამიტომ ვართ ფესტივალის მხარდამჭერები. განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ „ოქსიგენ-ფესტი“ ფარგლებში პირველ დღეს იქნება „არტ-გენი“, ხოლო მეორე დღეს – ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, ეს კი იძლევა საშუალებას, რომ ფესტივალის მსმენელთა არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ უფროსი თაობის რუსთაველებს და სტუმრებს, – განაცხადა „რუსთაველის აზოტის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან ბურდულიძემ. „ოქსიგენის“ საორგანიზაციო ჯგუფის ინფორმაციით, 25 ივნისს საფესტივალო სივრცეს „არტ-გენი“ დაიკავებს, მეორე დღეს კი, „ოქსიგენ-ფესტი“ მთლიანად ელექტრონულ მუსიკას დაეთმობა.

ეს ჯანმრთელი იდეა მოდის რუსთაველის ყველა თაობის ადამიანისგან, ცენტრალური პარკი ყოველთვის იყო შეკრებისა და ხელოვნების გაცვლის ადგილი, დღეს უკვე ყველაფერმა ამან მიიღო თავისი ფორმა. საფესტივალო სივრცე „ოქსიგენი“ იქნება რუსთაველის პარკის ტერიტორიაზე ადგილი, სადაც ყველა თაობისა და გენერაციის ადამიანი მისთვის შესაბამის სივრცეს, ჯგუფებსა თუ სხვადასხვა ხელოვნების პროდუქტს მიიღებს, – განაცხადა „ოქსიგენის“ ორგანიზატორმა ლაშა ნოზაძემ.



ჯი ბაილენი: თავისუფლება არასდროს ყოფილა უფასო...

„ბესლა, როდესაც რუსეთი აწარმოებს მორიგ აგრესიულ ომს თავისუფლების, დემოკრატიის, მფობელი უკრაინის კულტურის და იდენტობის გასანადგურებლად, ჩვენ ცხადად ვხედავთ ყველაფერს, რაც დევს სასწორზე თავისუფლება არასდროს ყოფილა უფასო, დემოკრატიებს ყოველთვის სჭირდებათ ჩემპიონები. დღეს დემოკრატიისთვის და თავისუფლებისთვის მრავალწლიან ბრძოლაში უკრაინა და მისი ხალხი მონაწილე საზღვარს არიან და იბრძვიან თავიანთი ქვეყნის გადასარჩენად, თუმცა, მათი ბრძოლა არის უფრო დიდი ბრძოლის ნაწილი, რომელიც ყველა ხალხს აერთიანებს. ეს არის ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობდა ბევრი პატრიოტი, რომლებმაც მარადიული განსასვენებელი აქ, ამ წმინდა მიწაზე პოვეს. ეს არის ბრძოლა დემოკრატიისა და ავტოკრატიის შორის“, – განაცხადა ბაილენმა.

ჯი ბაილენის თქმით, ეს არის ბრძოლა არსებითი დემოკრატიული პრინციპებისთვის, კანონის უზენაესობისთვის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, საუბრის, წერის, შეკრების თავისუფლებისთვის, რელიგიური თავისუფლებისა და პრესის თავისუფლებისთვის, რაც არის არსებითი თავისუფალი საზოგადოებისთვის.



სანსივანის მემკვიდრე პაპტი რუსეთის წინააღმდეგ

ევროკავშირის ლიდერები კრემლის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმს დააყენებენ. ამ პაკეტში შედის რუსულ ნავთობზე ემბარგო, რუსული ნავთობის იმპორტის შემცირება, მილსადენით მიღებულ ნავთობზე, გამონაკლისის სახით, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. ევროკავშირის ერთიანი და მტკიცე, როგორც უკრაინის მხარდამჭერად, ასევე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, – განაცხადა ევროპულ საბჭოში გამართული სხდომის შემდეგ პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

ლიდერები ასევე შეთანხმდნენ უკრაინისთვის 9 მილიარდი ევროს მიკროსაფინანსო დახმარების გამოყოფაზე.

მოსარული ვარ განცხობით, რომ ევროკავშირმა შეძლო მიეღწია შეთანხმებისთვის სანქციების მექანიზმს დააყენებთ. შეთანხმებული ზომები რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესების შესაძლებლობას გვაძლევს მილსადენით მიწოდებულ ნავთობზე დროებითი გამონაკლისის გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით ევროპა შეძლებს რუსული ნავთობის მიღება 90 %-ით შემცირებას. მიწადა ყველა ჩემს კოლეგას დიდი მადლობა გადავუხადო. ჩვენ გვჭირდება დროულად გადაწყვეტილებების მიღება შექმნილ რთულ ვითარებაში. ვფიქრობ ძალიან სერიოზულ სიგნალს ვაგზავნით. ბოლო დღეებში იყო სპეკულაციები ერთიანობის დარღვევის რისკებთან დაკავშირებით. დღეს ერთიანობის დემონსტრირება აუცილებელია ისე, როგორც არასდროს. ჩვენ ვართ ერთიანი. მტკიცედ ვიცავთ ევროპულ ღირებულებებს, ჩვენს ინტერესებს. გვაქვს ერთიანი და ძლიერი გზავნილი უკრაინელებისთვის, რუსეთისთვის, ევროკავშირის მოქალაქეებისა და მსოფლიოსთვის. დიდი მადლობა კოლეგებს ერთიანობისთვის და მტკიცედ დგომისთვის“, – განაცხადა შარლ მიშელმა.

ბესსენევა ჭეშმარიტი მამულიშვილის ნოდარ მემარიაშვილის



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ დაკარგა ღირსეული პიროვნება ნოდარ მემარიაშვილი.

მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული ნოდარ მემარიაშვილი დაიბადა 1929 წელს. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (შემდგომში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

მან ცხოვრების რთული, დაძაბული, მაგრამ უაღრესად საინტერესო და წარმატებული გზა განვლო.

ორი ათეული წელი იმსახურა უკრაინის რესპუბლიკაში, დონბასსა და დონეცკში შახტების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობას რიგითი მშენებლიდან დაწყებული ოლქის სამშენებლო-სამრეწველო გაერთიანების უფროსის რანგში.

უკრაინის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბატონი ნოდარის მოღვაწეობა საქართველოში მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის, მშენებლობის მინისტრის, სახელმწიფო საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის (ანუ ელჩის) რანგში მუშაობისას.

ბატონი ნოდარი დაჯილდოებული იყო მრავალმხრივი ნიჭიერებით, კეთილსინდისიერებით, პრინციპულობითა და საქმისადმი უერთგულესი მიდგომით. მიუხედავად თავისი საქმიანობის ძალიან დატვირთული რეჟიმისა, იგი მაინც პოულობდა გარკვეულ დროს, მცირეს მაგრამ უაღრესად

სად შინაარსიანს ოჯახთან, ნათესავებთან, მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობისთვის.

ბატონი ნოდარი იყო ოჯახის ერთგული პიროვნება, რომელსაც ასევე ერთგული გალინა ონიშენკო, გამორჩეული ინტელექტით, მეუღლისა და მასთან ერთად საქართველოს დიდი სიყვარულით, რომლებმაც ქართული სულისკვეთებით აღზარდეს ორი ვაჟკაცი გიორგი და ალექსანდრე მემარიაშვილები.

გიყვარდათ თქვენი სამშობლო, მთავარიან-ვარსკვლავიანი, დილა-ნათელი მზიანი. გიყვარდათ თქვენ მოწამეთა, ოქროსაკვანიანი. მამა-პაპათა სამკვალე, ბილიკი ნატურფილიანი, არ დავიწყება წარსულის, რთულის და ხალისიანის.

ავკარგიანობით, ჭეშმარიტი მამულიშვილობით, სიდარბაისლით, მაღალი პასუხისმგებლობითა და ინტელექტით გამოჩენულ ბატონ ნოდარ მემარიაშვილს ყოველთვის გაიხსენებენ საქართველოს ტექნიკური ინტელიგენცია, კოლეგები და მეგობრები.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, საქციო სამოგადოება „თბილქალაქმშენი“.

მერაბ ნიკოლაიშვილი, თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია.

მკვლელობის მსდელის ვაჟმა დაასაშენა

შინაბან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამომიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 2006 წელს დაბადებული გ.გ. თბილისში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა რომ, გ.გ.-მ ურთიერთშეუპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით, ჭრილობები მიიყენა 2006 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღა.

ოტია სარჩიმელია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნცება უკეთილშობილესი ქალბატონის, ოჯახის უახლოესი ადამიანის, ექიმის, **ლეილა მარინაშვილის** გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებს მის ვაჟებს – დავით და სოსო თავართქილაძეებს და უახლოეს ნათესავებს.

ი. ჟორღანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტორების ინსტიტუტი აბრძალავს მუშაობას მისამართზე – თბილისი მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილება. გისურვებთ ჯანმრთელობას!

მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლო

ჩვენს უახლოეს მეგობარს, კოლეგას, ნაღდ თბილისელსა და ლამაზი ოჯახის თავკაცს – მალხაზ ღებაძეს 60 წელი შეუსრულდა. დღევანდელ არეულ და დაძაბულ დროში ძმობა და მეგობრობა თითქმის ოთხ ათეულ წელს ისე რომ გასტანს, ერთი ხინჯიც არ ჩაგრება გულში, უმეტესწილად მისი დამსახურებაა. მეგობრებისთვის მუდამ თავგადასხვადი, ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლო, ზემოთ ვაკის რაინდი, სამოსთვის მუდამ კარის გამღები და თბილის-ქალაქის ერთგული დარაჯი.

იტოვებ, იღვებ, იღვებ და ისარე ჩვენო მალხაზ!
სპარტაკ ძოგულია, ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი, ვაჟა-ფშაველას

„წმინდა ნინოს ჯვარი“ ქრისტიანული კოეზიის XII ფესტივალი

30 მაისს მწერალთა სახლში ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“. ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლია დაუშვილიმ.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამხედრო ორგანიზაცია „სადავო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ და წმიდა ილია მართლის (ჯავახიშვილის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.



ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა გიზო ზარნაძე, თეიმურაზ ლანჩავა.

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ ზაალ მთკოველიმ გრძელად ისაუბრა გიზო ზარნაძისა და თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაზე.

ფესტივალის ჟიური – ზაალ მთკოველი, ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩიციანიძე, აკაკი დაუშვილი – ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ელენე უგულავა.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალიონი“ დააჯილდოვა: რონა მუხტეიშვილი, თამარ მეტრეველი, მაია დიაკონიძე, ციური მესხიშვილი, ლალი მიქაია, ელენე ჭიჭიაშვილი, ვაჟა მინორაძე.

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარის მედალი“ დააჯილდოვა ალა დათუიშვილი, მარინე ცუხიშვილი, ნათია დამნიანი, ნუნუ ძამუკაძე, თენგიზ ხუციშვილი, თეიმურაზ ტაბატაძე.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ ტარდება თბილისის მერიის მხარდაჭერით.

აგაღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

2 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის მანძილზე მინაზე იმყოფებოდა და მონაფეებს ათვერ გამოეცხადა.

ამჟვეყნად ხილული ყოფნის უკანასკნელ დღეს მან მოციქულებსა და მონაფეებს უბრძანა, იერუსალიმს არ გაშორებოდნენ...

ცნობილია, რომ იესო ქრისტე ელენის მთაზე გაუძღვა მათ. სწორედ იქ უქადაგა და სასწაულებრივი ძალის მოვლინება აღუთქვა: „მიიღოთ სული წმიდაი“. საგულისხმოა ისიც, რომ უფალმა ელენის მთაზე ხელი დაასხა ყველას, აკურთხა და მათ თვალნიც ცადა ამაღლდა. ამაღლების დროს იქ იყო ყოველდღიური ღვთისმშობელიც. უფლის ამაღლებასთან დაკავშირებით ეკლესიამ დაანება დღესასწაული, რომელსაც აღდგომიდან მეექვსე კვირის ხუთშაბათს ყოველწლიურად აღასრულებს.



გიული ლიპარტი



დაიწყო გელათის გადახურვის ახალ პროექტზე მუშაობა

საძარტველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა გელათის სამონასტრო კომპლექსში პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა – უგო ტონიეტამ, სარა სტეფანიმ, მარიო პულიერიმ და ალესანდრო მასარიმ. პრესკონფერენციაზე ასევე მონაწილეობას იღებდნენ მიტროპოლიტი დავით ალავერდელი, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე და ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტი იოანე.

როგორც კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, დღეიდან გელათის სახურავის ახალ პროექტზე იწყებენ მუშაობას.

„დასავლეთ მკლავის გადახურვა, ტიქური კრამიტის გადახურვის ნაწილი მოიხსნა. შესაბამისად, ნესტის აორთქლების პროცესი დაწყებულია. ნესტის სრულად აორთქლებასა და გამოშრობას დრო დასჭირდება – დღეიდან შემოდგომამდე პერიოდი. სახურავის გახსნის წყალობით, ვნახეთ, რა ხარვეზებია ადგილზე. გრძელდება 24-საათიანი მონიტორინგი. ასევე, ვინც მუშაობას გელათის სახურავის ახალ პროექტზე“, – განაცხადა მინისტრმა.

ქართული ღვინო პოლონეთში

ძარტველი ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR“ ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა.



დეგუსტაცია-სემინარს, რომელსაც ცნობილი ღვინის ექსპერტი, სომელიე და ღვინის სკოლის დამფუძნებელი სიმონ მილონასი (Szymon Milonas) უძღვებოდა, ადგილობრივი მედიის, კომერციული სექტორისა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ქართული სუფრის კულტურასა და ტრადიციებს. ღონისძიებაზე ქართული ღვინის მწარმოებელი 6 კომპანიის ღვინოები და ქართული სამზარეულო იყო წარმოდგენილი.

პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, რომელზეც ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების სუთუულში სტაბილურად დაიკვიდრა ადგილი. 2021 წელს პოლონეთში ქართული ღვინის ექსპორტმა 7 მილიონ პოლს გადააჭარბა, ზრდამ, 2020 წელთან შედარებით, 34%-ს მიაღწია. ექსპორტი მზარდია მიმდინარე წელსაც: იანვარ-აპრილში ექსპორტირებულია 2,4 მლნ პოლოლი, ზრდა 30%-ს აღწევს.

პანდალმა „ჯოკონდას“ დაზიანება სხადა

ლეონარდო და ვინჩის ყველაზე ცნობილი ტილო „ჯოკონდა“ (მონა ლიზა) ვანდალიზმის მსხვერპლი გახდა.

მოსუც ქალად გადაცმული კაცი პარიზის მუზეუმში 29 მაისს შევიდა, და ვინჩის ტილოს მიუახლოვდა და დამცავ შუშაზე, რომელიც ნახატი დაფარული ტორტის წასმა დაიწყო. შემდეგ მან დარბაზში ვარდები დაყარა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
ჭავჭავაძის ბაზარი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ვაჟა-ფშაველას
514 33-33-24

გამომცემელი:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამშრომელი“-გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იზაბელა სტამბა
„კოლორი“
თ. ბაღდაშვილის №3

კოლორი
ჭაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323

2 009882 616932

ავტორთა სახურავადღეობდ!
რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, გუდაამ არ ემთხვევოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტაზე პასუხს ავებან ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი
ნომერი
გამოვა
პარსკვს,
3 ივნისს



უსტორი პაუზის ქარსი:
აუუ ფონი - 2.9546; პარკ - 3.1833
ბრიტანული ბირჟის სტარტინგი - 3.7379;
100 რუბლი - 4.7347; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7424;
1000 სომხური დრამი - 6.5979.

აპრილი 1 ივნისისთვის

აქროსპაუზი	საქართველო:		
პარკი	ლარი	+13,	ღვ 34
თონი რაიონი	ლარი	+10,	ღვ 31
დასავლეთი საქართველო:			
პარკი	ლარი	+12,	ღვ 32
თონი რაიონი	ლარი	+11,	ღვ 31
თბილისი:	ლარი	+17,	ღვ 33

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge